**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

15/04/2025

MES 4 25 0000460309

გადაწყვეტილება

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16^2 მუხლის მე-4 პუნქტის, 32^7 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 400270808) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს - 1 200-ით, ხოლო "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 1 100-ით.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის № 415025 სხდომის ოქმის №1 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 7 აპრილს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი კანონმდებლობის წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ელექტრონული
მზამავლსმეღლა
ელექტრონული